

ლასარე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2020

	გვერდი
ფინანსური ანგარიშგება	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლასარე“-ს მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლასარე“-ს კომპანიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც დეტალურად არის აღწერილი წინა წლების კორექტირებების მიზეზები.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 31 დეკემბრით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადანაცვლებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

31 დეკემბერი 2021

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შემდგომი პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლასარე“-ს მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლასარე“-ს კომპანიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც დეტალურად არის აღწერილი წინა წლების კორექტირებების მიზეზები.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -7 მუხლის მე -6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 31 დეკემბრით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

31 დეკემბერი 2021

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



შპს „ლასარე“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	კორექტირებული 31 დეკემბერი 2019	კორექტირებული 01 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	12,785,613	12,285,499	11,420,666
არამატერიალური აქტივები		42,760	31,922	33,603
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,828,373	12,317,421	11,454,269
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	92,213	54,542	14,600
საგადასახადო აქტივი	13	-	-	32,282
გაცემული ავანსები	8	309,783	178,865	382,781
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	471,752	598,402	760,165
ფული და ფულის ექვივალენტები	10	20,511,538	15,456,683	11,295,056
სულ მიმდინარე აქტივები		21,385,286	16,288,492	12,484,884
სულ აქტივები		34,213,659	28,605,913	23,939,153
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	2,500,200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		26,259,197	22,702,155	20,354,503
სულ კაპიტალი		28,759,397	22,702,355	20,354,703
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,916,939	5,505,998	3,570,554
მიღებული ავანსები	13	271,309	41,431	13,896
საგადასახადო ვალდებულება	14	266,014	356,129	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,454,262	5,903,558	3,584,450
სულ ვალდებულებები		5,454,262	5,903,558	3,584,450
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		34,213,659	28,605,913	23,939,153

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეშვილი
დირექტორი



თამაზ ბულაცაშვილი
ფინანსური დირექტორი



შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


ქართულ ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019 კორექტირებული
შემოსავალი მომსახურებიდან	15	10,575,280	13,973,575
განული მომსახურების თვითღირებულება	16	(4,649,990)	(4,933,318)
საერთო მოგება		5,925,290	9,040,257
საერთო და ადმინისტრაციული ხარი	17	(2,044,291)	(6,640,241)
ცვლილება დებიტორული მოთხოვნების ანარიცხში	9	37,048	13,502
საპროცენტო შემოსავალი	10	616,542	509,294
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	18	1,394,322	339,416
სხვა ნეტო არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		259,710	167,004
მოგება დაბეგვრამდე		6,188,621	3,429,232
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		6,188,621	3,429,232

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეშვილი
დირექტორი



თამაზ ბულაცაშვილი
ფინანსური დირექტორი



შპს „ლასარე“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
01 იანვარი 2019 კორექტირებული	11	200	20,354,503	20,354,703
წლის მოგება		-	3,429,232	3,429,232
გაცემული დივიდენდი	11	-	(1,081,580)	(1,081,580)
31 დეკემბერი 2019 კორექტირებული	11	200	22,702,155	22,702,355
კაპიტალში შენატანი	11	2,500,000	-	2,500,000
წლის მოგება		-	6,188,621	6,188,621
გაცემული დივიდენდი	11	-	(2,631,579)	(2,631,579)
31 დეკემბერი 2020	11	2,500,200	26,259,197	28,759,397

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეშვილი
 დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი
 ფინანსური დირექტორი

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2020	2019 კორექტირებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	6,188,621	3,429,232
კორექტირებები:		
ცვეთა	863,164	723,245
საკურსო სხვაობა	(1,394,322)	(339,416)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	5,154	103,820
უიმედო ვალების ხარჯი	37,048	(13,502)
საპროცენტო შემოსავალი	(616,542)	(509,294)
საოპერაციო შედეგები საშუალო კაპიტალის ცვლილებამდე	5,083,123	3,394,085
ცვლილება მარაგებში	(37,671)	(39,942)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	103,106	161,763
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(130,918)	203,916
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(90,115)	388,411
ცვლილება მიღებულ ავანსებში	229,878	27,535
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	(593,400)	1,935,444
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული ფულადი სახსრები	4,564,003	6,071,212
მიღებული პროცენტი	616,542	509,294
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	5,180,545	6,580,506
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,360,886)	(1,690,218)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(18,384)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,379,270)	(1,690,218)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალში შენატანი	2,500,000	-
გადახდილი დივიდენდი	(2,631,579)	(1,081,580)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(131,579)	(1,081,580)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	15,456,683	11,295,056
ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში	3,669,696	3,808,708
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	1,385,159	352,919
ფული 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,511,538	15,456,683

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბრის.

სერგო ლასარეშვილი
დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	კორექტირებული 31 დეკემბერი 2019	კორექტირებული 01 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	12,785,613	12,285,499	11,420,666
არამატერიალური აქტივები		42,760	31,922	33,603
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,828,373	12,317,421	11,454,269
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	92,213	54,542	14,600
საგადასახადო აქტივი	13	-	-	32,282
გაცემული ავანსები	8	309,783	178,865	382,781
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	471,752	598,402	760,165
ფული და ფულის ექვივალენტები	10	20,511,538	15,456,683	11,295,056
სულ მიმდინარე აქტივები		21,385,286	16,288,492	12,484,884
სულ აქტივები		34,213,659	28,605,913	23,939,153
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	2,500,200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		26,259,197	22,702,155	20,354,503
სულ კაპიტალი		28,759,397	22,702,355	20,354,703
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,916,939	5,505,998	3,570,554
მიღებული ავანსები	13	271,309	41,431	13,896
საგადასახადო ვალდებულება	14	266,014	356,129	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,454,262	5,903,558	3,584,450
სულ ვალდებულებები		5,454,262	5,903,558	3,584,450
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		34,213,659	28,605,913	23,939,153

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეიშვილი _____
დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი _____
ფინანსური დირექტორი

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2020	2019 კორექტირებული
შემოსავალი მომსახურებიდან	15	10,575,280	13,973,575
განეული მომსახურების თვითღირებულება	16	(4,649,990)	(4,933,318)
საერთო მოგება		5,925,290	9,040,257
საერთო და ადმინისტრაციული ხარი	17	(2,044,291)	(6,640,241)
ცვლილება დებიტორული მოთხოვნების ანარიცხში	9	37,048	13,502
საპროცენტო შემოსავალი	10	616,542	509,294
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	18	1,394,322	339,416
სხვა ნეტო არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		259,710	167,004
მოგება დაბეგვრამდე		6,188,621	3,429,232
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		6,188,621	3,429,232

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეიშვილი _____
დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი _____
ფინანსური დირექტორი

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
01 იანვარი 2019 კორექტირებული	11	200	20,354,503	20,354,703
წლის მოგება		-	3,429,232	3,429,232
გაცემული დივიდენდი	11	-	(1,081,580)	(1,081,580)
31 დეკემბერი 2019 კორექტირებული	11	200	22,702,155	22,702,355
კაპიტალში შენატანი	11	2,500,000	-	2,500,000
წლის მოგება		-	6,188,621	6,188,621
გაცემული დივიდენდი	11	-	(2,631,579)	(2,631,579)
31 დეკემბერი 2020	11	2,500,200	26,259,197	28,759,397

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეიშვილი _____
დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი _____
ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2020	2019 კორექტირებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	6,188,621	3,429,232
კორექტირებები:		
ცვეთა	863,164	723,245
საკურსო სხვაობა	(1,394,322)	(339,416)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	5,154	103,820
უიმედო ვალების ხარჯი	37,048	(13,502)
საპროცენტო შემოსავალი	(616,542)	(509,294)
საოპერაციო შედეგები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	5,083,123	3,394,085
ცვლილება მარაგებში	(37,671)	(39,942)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	103,106	161,763
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(130,918)	203,916
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(90,115)	388,411
ცვლილება მიღებულ ავანსებში	229,878	27,535
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	(593,400)	1,935,444
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული ფულადი სახსრები	4,564,003	6,071,212
მიღებული პროცენტი	616,542	509,294
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	5,180,545	6,580,506
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,360,886)	(1,690,218)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(18,384)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,379,270)	(1,690,218)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალში შენატანი	2,500,000	-
გადახდილი დივიდენდი	(2,631,579)	(1,081,580)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(131,579)	(1,081,580)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	15,456,683	11,295,056
ცვლილება ფულის და ფულის ექვივალენტებში	3,669,696	3,808,708
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	1,385,159	352,919
ფული 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,511,538	15,456,683

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 31 დეკემბერს.

სერგო ლასარეიშვილი _____
დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი _____
ფინანსური დირექტორი

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ორგანიზაციის საქმიანობა

შპს "ლასარე" (ს/კ 208145176) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 1989 წელს. მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

შპს „ლასარე“ წარმოადგენს კერძო ავია-სატვირთო ტერმინალს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტვირთის ავიაგადამზიდვასთან დაკავშირებული სრული სააგენტო მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ტვირთის მიღება და გაგზავნა ხდება მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის სახეებია: დასაწყობება და შენახვა, სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა, ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები.

კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 175 თანამშრომელი (2019: 174).

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ჭონი ლასარეიშვილი	50%	50%
სერგო ლასარეიშვილი	35%	35%
ელენე წონორია	15%	15%
სულ	100%	100%

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას სტანდარტები“) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის რეალურ ღირებულებაზე.

რეალური ღირებულება. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება რეალური ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჭაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჭაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჭაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

რეალური ღირებულების დადგენისას, გამოყენებული მონაცემების საჭარო ხელმისაწვდომობის მიხედვით, იყოფა იერარქიის 3 დონედ:

- დონე 1 - რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის მოქმედ ბაზრებზე კვოტირებული ფასები.
- დონე 2 - რეალური ღირებულება ფასდება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კვოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება საჭაროდ, პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).
- დონე 3 – რეალური ღირებულება ფასდება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საჭაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის სამუშაო ვალუტა და ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

შემოსავალი მომსახურების განწევადან. შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს მომსახურების განწევადან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით სანარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

თვითღირებულება

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო შემოსავალი აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ხარჯები. ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

• მიწა	ცვეთა არ ერიცხება
• შენობა - ნაგებობები	25-30 წელი
• საოფისე ავეჯი	5-10 წელი
• მანქანა დანადგარები	5-10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი;
• სატრანსპორტო საშუალებები;	8-10 წელი.

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯის საფუძველზე, კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექნომსახურება, აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 10 %-იანი ამორტიზაციის განაკვეთის გამოყენებით.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მენილგების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და სხვა აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.28	4.02
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	3.11	3.55
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.82	3.16

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

დივიდენდები. დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბიზნესმოდელი. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. ბიზნესმოდელის შეფასების დროს კომპანია აფასებს პერიოდის განმავლობაში გაყიდული სავალ ფინანსური ინსტრუმენტების არსებობას პორტფელის ღირებულებასთან მიმართებაში იმ პირობით, რომ გაყიდვა არ ხდება კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმიზირებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ მოუხდენია სავალ ფინანსური აქტივების გაყიდვა, მისი ბიზნესმოდელი და შესაბამისად მისი სავალ ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ „ამოღებისთვის ფლობილობის“ კრიტერიუმს.

ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, კომპანია აფასებს წარმოდგენილი თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”). შეფასებისას კომპანია განიხილავს შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს. თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), კომპანიას არ ჰქონია ასეთი კატეგორიის ფინანსური აქტივები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა.

შეფასების კატეგორიები. სავალ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვასა და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის სავალ ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ ორივე კრიტერიუმს, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შესაბამის კატეგორიაში და ახორციელებს მის შემდგომ შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ამორტიზირებული ღირებულება. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანარიცხი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) წილობრივ/პროცენტულ გამოხატულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების), ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის დროსაც ფასდება მთლიანი მოსალოდნელი ზარალი აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება საკრედიტო რისკების მახასიათებლებისა და გადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება. ფინანსური ვალდებულებები შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

აღიარების შეწყვეტა. ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი - კომპანიის ბალანსზე არსებული დებიტორული მოთხოვნები შედგება სავაჭრი და სხვა მოთხოვნებისგან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას. კერძოდ: კომპანია ანარიცხების მატრიცის გამოყენებით ანგარიშობს წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე რეზერვის განაკვეთებს. აგრეთვე, ითვალისწინებს მოსალოდნელ მაკროეკონომურ ფაქტორებს და მისი გამოყენებით აზუსტებს განაკვეთებს. აღნიშნული რეზერვის განაკვეთების გამოყენებით კომპანია ითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განსაზღვრა, უიმედო ვალების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შესადარისი ინფორმაციის კორექტირების გავლენა

- 2021 წელს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი უზუსტობების გასწორების მიზნით, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ რეკომენდაციით კომპანიამ დააზუსტა შემოწმების პერიოდის უკვე წარდგენილი დეკლარაციები, შესაბამისად, დააკორექტირა საგადასახადო ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 1 იანვრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკებთან დაახლოვების მიზნით, კომპანია აუმჯობესებს მონაცემების მუდმივი მართვისა და არაფორმალურ დოკუმენტაციასთან შედარების სისტემას. ასეთი რეკონსილაციის პროცესში კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 128,357 ლარის წმინდა ღირებულების ძირითად საშუალებები არ იყო ასახული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნული შეცდომის გასწორების მიზნით განხორციელდა კორექტირებები რომლებიც ნაჩვენებია ქვემოთ. კორექტირებები შესაბამისად ასახულია მფლობელთა კაპიტალის მოძრაობასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში.

მენეჯმენტის განმარტებით სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები სრულად არის გათვალისწინებული მიმდინარე პერიოდში.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კორექტირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	01 იანვარი 2019	კორექტირება	კორექტირებული 01 იანვარი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11,420,666		11,420,666
არამატერიალური აქტივები	33,603		33,603
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,454,269	-	11,454,269
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14,600		14,600
გაცემული ავანსები	382,781		382,781
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	760,165		760,165
ფული და ფულის ექვივალენტები	11,295,056		11,295,056
სულ მიმდინარე აქტივები	12,452,602	-	12,452,602
სულ აქტივები	23,906,871	-	23,906,871
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200		200
გაუნაწილებელი მოგება	20,032,587	321,916	20,354,503
სულ კაპიტალი	20,032,787	321,916	20,354,703
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,570,554		3,570,554
მიღებული ავანსები	13,896		13,896
საგადასახადო ვალდებულება	289,634	(321,916)	(32,282)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,874,084	(321,916)	3,552,168
სულ ვალდებულებები	3,874,084	(321,916)	3,552,168
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,906,871	-	23,906,871

კორექტირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2019	კორექტირება	კორექტირებული 31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12,157,142	128,357	12,285,499
არამატერიალური აქტივები	31,922		31,922
სულ გრძელვადიანი აქტივები	12,189,064	128,357	12,317,421
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	54,542		54,542
გაცემული ავანსები	178,865		178,865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	598,402		598,402
ფული და ფულის ექვივალენტები	15,456,683		15,456,683
სულ მიმდინარე აქტივები	16,288,492	-	16,288,492
სულ აქტივები	28,477,556	128,357	28,605,913
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200		200
გაუნაწილებელი მოგება	22,214,288	487,861	22,702,149
სულ კაპიტალი	22,214,488	487,861	22,702,349
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,377,641	128,357	5,505,998
მიღებული ავანსები	41,431		41,431
საგადასახადო ვალდებულება	843,996	(487,861)	356,135
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	6,263,068	(359,504)	5,903,564
სულ ვალდებულებები	6,263,068	(359,504)	5,903,564
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	28,477,556	128,357	28,605,913

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კორექტირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2019	კორექტირება	2019 კორექტირებული
შემოსავალი	13,973,575	-	13,973,575
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,305,988)	3,627,330	(4,933,318)
საერთო მოგება	12,667,587	3,627,330	9,040,257
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,433,522)	(3,793,281)	(6,640,241)
ცვლილება დებიტორული მოთხოვნების ანარიცხში	13,502	-	13,502
საპროცენტო შემოსავალი	509,294	-	509,294
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	339,416	-	339,416
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)	167,004	-	167,004
მოგება დაბეგვრამდე	3,263,281	(165,951)	3,429,232
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	3,263,281	(165,951)	3,429,232

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“- (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

სხვა

ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანპორტო საშუალებები	სულ
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	4,070,051	6,759,432	1,167,130	388,228	665,633	2,304,956	15,355,430
შეძენა	-	897,285	38,295	22,540	44,528	687,570	1,690,218
ჩამოწერა	-	-	-	-	(13,356)	(210,249)	(223,605)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,051	7,656,717	1,205,425	410,768	696,805	2,782,277	16,822,043
შეძენა	-	856,940	412,162	30,543	68,218	8,582	1,376,445
ჩამოწერა	-	(8,000)	-	(1,495)	(21,590)	(2,703)	(33,788)
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	(15,559)	-	(15,559)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,051	8,505,657	1,617,587	439,816	727,874	2,788,156	18,149,141
აკუმულირებული ცვეთა							
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	(1,535,859)	(969,500)	(147,331)	(489,197)	(792,877)	(3,934,764)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთის შემცირება	-	-	-	-	8,397	111,388	119,785
ცვეთის ხარჯი 2019 წლის	-	(272,279)	(72,876)	(41,947)	(65,809)	(268,654)	(721,565)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,808,138)	(1,042,376)	(189,278)	(546,609)	(950,143)	(4,536,544)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთის შემცირება	-	4,458	21,234	993	47	1,902	28,634
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	11,890	-	11,890
ცვეთის ხარჯი 2020 წლის	-	(309,333)	(181,424)	(19,975)	(44,428)	(312,348)	(867,508)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,113,013)	(1,202,566)	(208,260)	(579,100)	(1,260,589)	(5,363,528)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	4,070,051	5,223,573	197,630	240,897	176,436	1,512,079	11,420,666
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,051	5,848,579	163,049	221,490	150,196	1,832,134	12,285,499
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,051	6,392,644	415,021	231,556	148,774	1,527,567	12,785,613

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 34,755 ლარს. (2019: 14,289 ლარი)

კომპანიის საკუთრებაში არის 32,794 კვ.მ-ის მიწა მასზე დამაგრებული შენობით, რომლის ნაწილი II სართული დაახლოებით 914 კვ.მ გაქირავებულია საოპერაციო იჯარით სხვადასხვა მომხმარებლებზე რომლის შემოსავალმა შეადგინა 2020 წელს 194,142 ლარი (2019: 171,116 ლარი).

აღნიშნული შენობა რეგისტრირებულია ერთ მთლიან ქონებად და გამიჯვნა შეუძლებელია, ასევე შენობის უმეტესი ნაწილი გამოიყენება მომსახურების განწესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მიზნით, შესაბამისად მთლიანი შენობა განიხილება მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად და აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალება. კომპანიის სამომავლო განზრახვაა გამოიყენოს ქონება თავისი საოპერაციო მიზნებისთვის, თუმცა საოპერაციო იჯარად გასცემს გამოუყენებელ დამატებით მოცულობას. იმ შემთხვევაში თუ გაქირავებული ნაწილი არ ჩაითვლება, როგორც დამატებით გამოუყენებელი მოცულობა, კომპანია ასეთ ქონებას დააკლასიფიცირებს საინვესტიციო ქონებად.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
საწვავი	25,644	10,485	4,905
სხვა ინვენტარი	66,569	44,057	9,695
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	92,213	54,542	14,600

8. გაცემული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
პროგრამული კომპანიისთვის გადახდილი ავანსები	104,072	-	-
სადაზღვევო კომპანიებისთვის გადახდილი ავანსები	65,001	56,519	120,953
აუდიტორული კომპანიისთვის გადახდილი ავანსები	16,874	14,672	31,399
სხვა ავანსები	123,836	107,674	230,429
სულ გაცემული ავანსები	309,783	178,865	382,781

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
მოთხოვნები ავიაკომპანიების მიმართ	268,522	727,256	864,773
მოთხოვნები სხვა იურიდიული პირების მიმართ	193,156	-	37,594
მოთხოვნები საელჩოების მიმართ	19,827	5,337	7,379
მოთხოვნები იჯარიდან	12,557	-	1,815
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ (გაუფასურებელი)	1,565	3,703	-
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებამდე	495,627	736,296	911,561
გაუფასურების ანარიცხი	(23,875)	(137,894)	(151,396)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	471,752	598,402	760,165

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო მოთხოვნები და გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%	
სავაჭრო მოთხოვნები	429,238	39,382	2,639	3,108	19,692	494,059
გაუფასურების ანარიცხი	-	1,969	660	1,554	19,692	23,875
სულ სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	429,238	37,413	1,979	1,554	-	470,184

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო მოთხოვნები და გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%	
სავაჭრო მოთხოვნები	472,230	25,342	124,008	18,183	96,534	736,296
გაუფასურების ანარიცხი	-	1,267	31,002	9,091	96,534	137,894
სულ სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	472,230	24,075	93,006	9,091	-	598,402

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო მოთხოვნები და გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%	
სავაჭრო მოთხოვნები	746,777	28,718	1,042	524	134,502	911,562
გაუფასურების ანარიცხი	14,936	1,436	260	262	134,502	151,395
სულ სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	731,841	27,282	781	262	-	760,167

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილად:

ნაშთი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	(151,396)
დამატებითი დარიცხვა მიმდინარე წლისათვის	13,502
გაუფასურების ანარიცხის ამობრუნება	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(137,894)
დამატებითი დარიცხვა მიმდინარე წლისათვის	37,048
გაუფასურების ანარიცხის ამობრუნება	76,971
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(23,875)

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალურსა და საბალანსო ღირებულებებს შორის.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,652,141	2,282,954	600,340
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,487,126	1,365,435	4,663,996
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	6,610,174	5,721,230	5,504,918
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	9,277,679	5,634,759	-
შეზღუდული ფულადი სახსრები	462,128	429,440	499,040
ნაღდი ფული	22,290	22,865	26,762
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	20,511,538	15,456,683	11,295,056

საბანკო დეპოზიტიდან მიღებულმა შემოსავალმა 2020 წლის განმავლობაში 616,542 ლარი. (2019: 509,295 ლარი), დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი შეადგენს წლიურ 2-5%-ს.

*შეზღუდული ფულადი სახსრები წარმოადგენს საბანკო გარანტიებთან მიმართებაში შეზღუდულ ფულად სახსრებს. დეტალები საბანკო გარანტიების შესახებ იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნაში.

არ არის არსებითი განსხვავება ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალურსა და საბალანსო ღირებულებებს შორის.

11. მფლობელთა კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	200
საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200
კაპიტალში შენატანი 2020 წლის განმავლობაში	2,500,000
საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,500,200

კომპანიამ 2020 წელს გაანაწილა 2,631,529 ლარი (2019: 1,081,580 ლარი, 2018: - 2,899,999 ლარი).

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	4,344,613	4,575,212	2,561,711
ვალდებულება ავიაკომპანიების წინაშე	350,850	693,943	534,311
ვალდებულება მომწოდებლების წინაშე	197,684	108,586	474,532
სხვა ვალდებულება	23,792	128,257	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,893,147	5,377,741	3,570,554

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ვალდებულება პერსონალის წინაშე მოიცავს, მენეჯმენტისთვის გაცემულ ბონუსებს ეფექტურად შესრულებული საოპერაციო სამუშაოსთვის.

არ არის არსებითი განსხვავება კრედიტორული დავალიანების რეალურსა და საბალანსო ღირებულებებს შორის.

13. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
ავია კომპანიებისგან მიღებული ავანსები	(72,157)	(11,019)	(3,696)
სხვა ავანსები	(199,152)	(30,412)	(10,200)
სულ მიღებული ავანსები	(271,309)	(41,431)	(13,896)

14. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020, 2019 წლის და 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი არ გააჩნია, რადგან დივიდენდის გაცემა მოხდა წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც გადახდილია ადრეულ წლებში.

15. შემოსავალი მომსახურებიდან

	2020	2019
შემოსავალი მომსახურების განწევრიდან	6,419,986	6,828,517
შემოსავალი იმპორტიდან	1,644,724	1,844,252
შემოსავალი ექსპორტიდან	2,495,214	5,300,806
სხვა შემოსავალი	15,356	-
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	10,559,925	13,973,575

კომპანიაში შემოსავლების გენერირების წყაროებია ავიატვირთვების გადაზიდვა საქართველოს თუ უცხოეთის ტერიტორიაზე, იმპორტი/ექსპორტი. ასევე ტვირთის რეგისტრაციის, შენახვის და მასთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურებები.

16. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2020	2019
ხელფასები	(2,984,658)	(3,111,667)
ლოჯისტიკის ხარჯი	(629,775)	(386,223)
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	(480,966)	(698,022)
ცვეთა და ამორტიზაცია	(317,358)	(515,663)
სატრანზიტო მომსახურების ხარჯი	(237,233)	(221,743)
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(4,649,990)	(4,933,318)

აღნიშნული ხარჯები ეკუთვნის გადაზიდვას და მასთან დაკავშირებულ საბროკერო ექსპლუატაციის დროს წარმოშობილ თანხებს.

კომპანია მომსახურების გაწევისას უმეტესად მოქმედებს როგორც შუამავალი (აგენტი) და რიგ შემთხვევებში როგორც ძირითადი მიმწოდებელი.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
სახელფასო ხარჯი	(810,616)	(4,814,668)
ცვეთა და ამორტიზაცია	(548,125)	(208,830)
კომუნალური ხარჯი	(210,455)	(210,195)
ქონების გადასახადის ხარჯი	(96,031)	(81,640)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(62,725)	(44,551)
საწვავის ხარჯი	(49,537)	(89,151)
კომუნიკაციის ხარჯი	(49,221)	(32,414)
ტრენინგის ხარჯი	(49,064)	(61,501)
სადაზღვევო ხარჯი	(43,233)	(98,960)
საკონსულტაციო ხარჯი	(23,855)	(23,512)
ჭარიმები	(16,017)	-
მოვლა შენახვის ხარჯი	(13,151)	(14,952)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(5,154)	(14,237)
მივლინების ხარჯი	(3,969)	(140,154)
საგადასახადო ხარჯი	(664)	(603,318)
სხვა ხარჯები	(62,474)	(202,158)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,044,291)	(6,640,241)

18. წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,789,622	1,796,392
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38,399	12,636
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,454	14,983
მოგება საკურსო სხვაობიდან	1,841,475	1,824,011
ფული და ფულის ეკვივალენტები	(404,463)	(1,443,477)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(24,895)	(30,908)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(17,795)	(10,210)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(447,153)	(1,484,595)
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	1,394,322	339,416

19. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

კომპანია უცხოურ კონტრაგენტებთან ურთიერთობისთვის იყენებს საბანკო გარანტიებს. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება უცხოელი კონტრაგენტისთვის განსაზღვრული თანხის გადახდა, კონტრაგენტის მხრიდან მოხდება საბანკო გარანტიის გამოყენება. საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2022 წლის ივლისამდე.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
შეზღუდული ფულადი სახსრები	462,128	429,440	499,040

საბანკო გარანტიების შესაბამისად განსაზღვრული თანხები მიუხედავად იმისა დადგება თუ არა საჭიროება მისი გამოყენების, განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე და შეზღუდულია ბანკის მიერ მისი გამოყენება(იხილეთ მე-10 განმარტებითი შენიშვნა).

20. რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება. რეალური ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

21. ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	20,511,538	15,456,683
დებიტორული მოთხოვნები	471,752	598,402
სულ ფინანსური აქტივები	20,983,290	16,055,085

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
კრედიტორული დავალიანება	4,916,939	5,505,998
საგადასახადო ვალდებულებები	266,014	356,129
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,182,953	5,862,127

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

საკრედიტო რისკის მიმართ სენსიტიური აქტივების ჯამური მოცულობა მოცემულია ქვედა ცხრილში:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	20,511,538	15,456,683
დებიტორული მოთხოვნები	471,752	598,402
სულ ფინანსური აქტივები	20,983,290	16,055,085

საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.

თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.

I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ) არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარატი	გაუფასურებული აქტივი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2019 წლის დასაწყისში ასევე 2019 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცემაზე დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცემა. დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცემაებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცემაზე დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის ცხრილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	20,511,538	-	-	-
დებიტორული მოთხოვნები	471,752	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	20,983,290	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	4,916,939	-	-	-
საგადასახადო ვალდებულება	266,014	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,182,953	-	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	15,800,337	-	-	-

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	15,456,683	-	-	-
დებიტორული მოთხოვნები	598,402	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	16,055,085	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	5,505,998	-	-	-
საგადასახადო ვალდებულება	356,129	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,862,127	-	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	10,192,958	-	-	-

ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	11,295,056	-	-	-
დებიტორული მოთხოვნები	760,165	-	-	-
საგადასახადო აქტივი	32,282	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	12,087,503	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	3,570,554	-	-	-
საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,570,554	-	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	8,516,949	-	-	-

საბაზრო - სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო.

სავალუტო რისკი შეიძლება წარმოიშვას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დებიტორული მოთხოვნებისგან, ფული და ფულის ექვივალენტებისგან და კრედიტორული დავალიანებისგან.

უცხოური ვალუტის რისკის მართვა ხორციელდება ნეტო სავალუტო პოზიციის მონიტორინგის მეშვეობით

კომპანიის სავალუტო რისკის პოზიცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
31 დეკემბერი 2020				
აშშ დოლარი	8,269,920	432,240	409,845	9,112,005
ევრო	2,756,969	40,290	73,605	2,870,864

კომპანიის სავალუტო რისკის პოზიცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
31 დეკემბერი 2020				
აშშ დოლარი	5,701,199	436,031	63351	6,200,581
ევრო	1,521,748	34,810	28824	1,585,382

სენსიტიურობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	ეფექტი სავალუტო პოზიციაზე
10% გამყარება ევრო	(911,201)
10% გაუფასურება ევრო	911,201
10% გამყარება დოლარი	(287,086)
10% გაუფასურება დოლარი	287,086

შპს „ლასარე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სენსიტიურობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	ეფექტი სავალუტო პოზიციაზე
10% გამყარება ევრო	(620,058)
10% გაუფასურება ევრო	620,058
10% გამყარება დოლარი	(158,538)
10% გაუფასურება დოლარი	158,538

22. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დამფუძნებლები წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში. მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სახელფასო ვალდებულებები ხელმძღვანელობის მიმართ	4,104,966	4,503,871

პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	136,960	3,896,607

23. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

2020 წლის მმართველობითი ანგარიში

აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

სარჩევი

აუდიტორის დასკვნა	3
ზოგადი ინფორმაცია	4
კომპანიის ძირითადი კონკურენტები	6
დასაქმებულები	6
სუბიექტის განვითარების გეგმები	6
კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები	8
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა	8
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	8
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია	8
რისკები	9
არაფინანსური მაჩვენებლები	9

RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე
შპს ლასარეს მენეჯმენტსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2021 წლის 31 დეკემბერი

Rsm Georgia



THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors

● European
○ Business
○ Awards™

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს ლასარეს მენეჯმენტსა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2021 წლის 31 დეკემბერი



საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. “ლასარე” დაარსდა 1989 წელს. კომპანია განლაგებულია შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე. დღეისათვის “ლასარე” წარმოადგენს კერძო ავია-სატვირთო ტერმინალს.

ეს გახლავთ საჰაერო ხომალდის სატვირთო საჰენდლინგო მომსახურებისათვის აუცილებელი ბაზის, საბაჟო საწყობისა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასაწყობო მეურნეობის ერთობლიობა უშიშროების დაცული სისტემით, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მაღალხარისხიან პროფესიონალურ მომსახურებას 24-საათის განმავლობაში. ტერმინალის ტერიტორიაზე განლაგებულია სატვირთო მომსახურების სრულყოფილი და დროული უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ყველა სათანადო საშუალება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, აეროდრომზე დამოუკიდებელ გასასვლელთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ადვილად გავართვათ თავი საჰაერო ტვირთების მომსახურების საკმაოდ რთულ და საპასუხისმგებლო პროცესს, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

კომპანიაში დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები, მათ შორის არიან IATA-სა და FIATA-ში სერტიფიცირებული სპეციალისტები, სახიფათო ტვირთების და ცოცხალი ცხოველების მომსახურების უფლებით.

წლების განმავლობაში მაღალი დონის სანდო მომსახურების წყალობით კომპანიამ მომხმარებლებს შორის საიმედო პარტნიორის რეპუტაცია დაიმკვიდრა. სატვირთო საჰენდლინგო და გაყიდვების აგენტის სტატუსით მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უცხოურ და ადგილობრივ ავიაკომპანიებთან.

კომპანია სერტიფიცირებულია ევროკავშირის RA-3 სერტიფიკატით, რაც იძლევა ევროკავშირში ტვირთების პირდაპირი გაგზავნის უფლებას.

მომსახურების მთელი პროცესი კომპიუტერიზირებულია. ავიაგადაზიდვების გაყიდვებისას მომხმარებელს ვთავაზობთ სპეციალურად ავიატვირთებისათვის მორგებულ სადამზღვევო პროგრამას.



ბიზნესის სფეროში შეტანილი წვლილის, მაღალი რეპუტაციისა და პროფესიონალიზმისათვის შპს “ლასარე“-მ მიიღო სპეციალური ჭილდო – ევროპის ოქროს თალი ხარისხისა და ტექნოლოგიისათვის.

ვთავაზობთ მაღალხარისხიან და სწრაფ მომსახურებას, ჩვენ გვაკავშირებს მრავალწლიანი თანამშრომლობა მოწინავე ავიაკომპანიებთან:

Air Arabia, Air Astana, Air Baltic, Belavia, Cargolux, Flydubai, LOT Polish Airlines, Lufthansa, Qatar Airways, Turkish Cargo, Ukraine International და სხვა.



სატვირთო-ტერმინალი მომხმარებელს თავაზობს საავიაციო ტვირთების მომსახურების სრულ კომპლექსს:

1. საჰაერო ხომალდის სახმელეთო სატვირთო მომსახურება
2. სატვირთო-სატერმინალო მომსახურება
3. საფოსტო გზავნილების მომსახურება
4. შენახვა
5. ტვირთის შეფუთვა
6. საავიაციო უშიშროების სამსახურის მომსახურება
7. სახიფათო და რადიოაქტიური ტვირთების მომსახურება
8. სატვირთო ავიაზედდებულის (AWB) მომზადება/კომპლექტაცია

9. სახიფათო ტვირთის დეკლარაციის მომზადება ან/და შემოწმების ჩატარება

10. ცოცხალი ცხოველების მომსახურება

11. ლოჯისტიკური და საბროკერო მომსახურება.



კომპანიის ძირითადი კონკურენტები

კომპანიის კონკურენტებია შპს „საქართველოს ფოსტა“ და შპს „თბილისი კარგო სერვისი“, მთლიანი ბაზრის წილი პროცენტული მაჩვენებლით შპს „ლასარეს“ უკავია ბაზრის დაახლოებით 48 პროცენტი.

დასაქმებულები

კომპანიაში 2020 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 180-მდე ადამიანი, 2019-174. კომპანია მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თანამშრომლებს ინტენსიურად უტარდებათ სათანადო ტრენინგები და სერტიფიცირება საავიაციო სატვირთო მიმართულებით.

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს, საავიაციო გადაზიდვებთან დაკავშირებული საჰენდლინგო და სატერმინალო მომსახურების წარმოება (იმპორტი/ექსპორტი/ტრანზიტი). შპს „ლასარე“ ლიდერია საქართველოს ავია ბაზარზე, სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია ახალ ავიაკომპანიებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება, ინოვაციების დანერგვითა და ტექნოლოგიური წინსვლით მომხმარებლისთვის მეტი შესაძლებლობების და უფრო მაღალი დონის მომსახურების შეთავაზება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მოიცავს დახვეწილ ავტომატიზირებული ოპერაციებს და უზრუნველყოფს დროის ოპტიმიზაციას.

ავია სატვირთო მომსახურება დეტალური:

1. ავიაგადაზიდვა

ვასრულებთ ტვირთის ავიაგადაზიდვასთან დაკავშირებულ სრულ სააგენტო მომსახურებას.

კლიენტის მოთხოვნით მისამართზე, ვაგზავნით ტვირთს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე.

ვასრულებთ გასაგზავნი ტვირთების დაჯავშნას და ტვირთების მონიტორინგს ავიაკომპანიების სისტემებში, ვუზრუნველყოფთ დამკვეთისთვის ტვირთთან დაკავშირებული მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას; ძირითადი ტვირთის გარდა (General cargo), ვაგზავნით ყველა სახის

ტვირთებს ძვირფასი (გამოცხადებული ღირებულებით და გამოცხადების გარეშე) ცოცხალი, მალეფუჭებადი, სახიფათო, სპეციფიკური (ზომა- წონიდან გამომდინარე) ტვირთების ჩათვლით.

გადაზიდვების სამსახურის კვალიფიციური და სერტიფიცირებული პერსონალი აწვდის მომხმარებელს ტვირთთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას, ეხმარება სასურველი ავიაგადაზიდვის (ავიაკომპანია, მარშრუტი) შერჩევაში, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს ჩარტერული სატვირთო რეისების ორგანიზებას.

ტვირთის გაგზავნამდე სათანადო სამსახურში გამგზავნის განაცხადის საფუძველზე გამოიწერება ავიაზედდებული ყოველი კონკრეტული ავიაგადაზიდვისათვის. ასევე შესაძლებელია ტვირთების დაზღვევა სპეციალურად ავიაგადაზიდვებზე მორგებული სადაზღვევო პროგრამის გამოყენებით.

2. სახმელეთო გადაზიდვა

გთავაზობთ უშუალოდ გამოგზავნის წერტილიდან დანიშნულების წერტილამდე ყველა სახის, გენერალური, საკონტეინერო, არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთების ტრანსპორტირებას, მთლიანი და ნაწილობრივად დატვირთული მანქანებით (FTL / LTL). ჩვენი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომლები შეგირჩევენ სასურველ მარშრუტს და გადაზიდვის პირობებს.

3. მულტიმოდალური ტრანსპორტირება

გთავაზობთ მულტიმოდალურ ტრანსპორტირებას, რაც გულისხმობს გადაზიდვის დროს ორი ან მეტი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, ჩამოსული, გასაგზავნი და სატრანზიტო საავიაციო ტვირთების მიწოდებას, როგორც საავიაციო, ისე სახმელეთო გზით.

4. საბროკერო მომსახურება

გთავაზობთ საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით სრული კონსულტაციის გაწევას, საბროკერო სამსახურის კვალიფიციური თანამშრომლები დაზოგავენ თქვენს დროს და ენერგიას, თქვენი დავალებით მოახდენენ ტვირთის დეკლარირებას.

5. ტვირთის დაზღვევა

ვახორციელებთ ტვირთების დაზღვევას სპეციალურად ავიაგადაზიდვებზე მორგებული სადაზღვევო პროგრამის გამოყენებით, თქვენ გეძლევათ საშუალება დააზღვიოთ ტვირთი ნებისმიერ ავიაკომპანიაზე, ნებისმიერი მიმართულებით.



კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

აქტივები და ვალდებულებები

	2020
ძირითადი საშუალებები	12,785,613
არამატერიალური აქტივები	42,760
სასაქონლო მატერიალური მარაგები	92,213
გაცემული ავანსები	309,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	471,752
ფული და ფულის ექვივალენტი	20,511,538
სულ აქტივები	34,213,659
კაპიტალი	28,759,397
სულ კაპიტალი	28,759,397
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,916,939
მიღებული ავანსები	271,309
გადასახდელი გადასახადები	266,014
სულ ვალდებულებები	5,454,262
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	34,213,659

მოგება ზარალის მაჩვენებლები

	2020
შემოსავალი მომსახურების განწევრიდან	10,575,280
ადმინისტრაციული ხარჯი	(2,044,291)
სატვირთო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	(4,649,990)
სხვა ხარჯები და შემოსავლები	2,307,622
წმინდა მოგება	6,188,621

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ამ ეტაპზე ფილიალები არ გააჩნია და უახლოესი 2 წლის განმავლობაში გახსნა არ იგეგმება.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია

კომპანია არ ფლობს საკუთარ აქციებს

ფინანსური ანალიზი

რისკები

ძირითადი რისკი ავია ბაზარზე არის ვალუტის კურსი, რომლის ზრდის დროს მომსახურების ფასი და ტარიფები იმ პროპორციით არ იზრდება როგორც კურსი, რაც კომპანიის მომგებიანობა შესაძლოა შეამციროს. კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს ვალუტის კურსის ცვლილებას, მუდმივი კონტროლი და სწრაფი რეაგირება ვალუტის კურსზე, საშუალებას აძლევს ვალუტის გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დაიყვანოს.

არა-ფინანსური რისკი

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძელია, რასაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

სამართლებრივი სქემა

კომპანია უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. გემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით.

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე მართველობით ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი, აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიში ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 31 დეკემბერს.

დირექტორი

სერგო ლასარეიშვილი

ფინანსური დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი

ფინანსური ანალიზი

რისკები

ძირითადი რისკი ავია ბაზარზე არის ვალუტის კურსი, რომლის ზრდის დროს მომსახურების ფასი და ტარიფები იმ პროპორციით არ იზრდება როგორც კურსი, რაც კომპანიის მომგებიანობა შესაძლოა შეამციროს. კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს ვალუტის კურსის ცვლილებას, მუდმივი კონტროლი და სწრაფი რეაგირება ვალუტის კურსზე, საშუალებას აძლევს ვალუტის გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დაიყვანოს.

არა-ფინანსური რისკი

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძველია, რასაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

სამართლებრივი სქემა

კომპანია უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით.

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე მართველობით ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი, აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიში ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 31 დეკემბერს.

დირექტორი

სერგო ლასარეიშვილი



ფინანსური დირექტორი

თამაზ ბულაცაშვილი

